ხელშეკრულება № 66

ქ. ბათუმი დიდაჭარის ქუჩა N23 3 აპრილი2019 წ.

ერთის მხრივ „შემსყიდველი" ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური" ს/კ 248433627 , მის: ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23, მისი დირექტორის დროებითი მ/შ სულხან ვერძაძის სახით და მეორეს მხრივ „მიმწოდებელი" შ.პ.ს „გამა" ს/კ 208208198, წამოდგენილი მისი დირექტორების: დავით ჩახტაურის და ზაზა ვაშაკიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შევთანხმდით შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სამსახურის სატრანსპორტო საშუალებისათვის - მერსედესი „ნაგავმზიდისათვის" 2019 წლის 25 დეკემბრამდე ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის რაოდენობის შესაბამისად 3322 მ3 ბუნებრივი აირის მოწოდება CPV კოდი 09123000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4949,78 ლარი (1 მ3 – 1,49 ლარი);
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს .
2.3. მოსაწოდებელი საქონლის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ მოწოდებული სასაქონლო ზედნადების თანახმად.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. ანგარიშსწორება მოხდება საქართველოს კანონმდებლ;ობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა (სასაქონლო ზედნადები / ანგარიშ-ფაქტურა) და საქონლის მიღებაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
3.3 საქონლის მიწოდება განხორციელდეს 2019 წლის 25 დეკემბრამდე.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ითვლება მიმწოდებლის მიერ მოწოდებულად და დამკვეთზე ჩაბარებულად მოწოდებული საქონლის ჩაბარების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
4.2 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან შესრულებულ სამუშაოზე.
4.3 საქონელი ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
4.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი ფლობს უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის შემოწმება;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-(ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაშიმეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

7.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. ფორსმაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (ფორსმაჟორი). აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა

აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით;

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 25 თებერვლამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი":
ა(ა)იპ „ ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური"
ს/ნ 248433627
მის: ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23

დირექტორის დროებითი მ/შ / სულხან ვერძაძე/

„მიმწოდებელი":

შ.პ.ს „გამა"
ს/კ 208208198
ს.ს. „თიბისი ბანკი"
ა/ნ GE55TB7470336020100004

Greening cleaning and communal utility service of Khelvachauri

Digitally signed by Greening cleaning and communal utility service of Khelvachauri
Date: 2019.04.10 14:02:07 +04'00'

დირექტორი / დავით ჩახტაური/

/ ზაზა ვაშაკიძე /

ხელწერილი

ა(ა)იპ ,,ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურის" დირექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 3 აპრილი 2019 წელი

მე, ა(ა)იპ ,,ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურის" დირექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი სულხან ვერძაძე ვადასტურებ, რომ შპს ,,გამასთან"- ს/კ 208208198 გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისას ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 8-ე მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

დირექტორის დრ. მ/მ /სულხან ვერძაძე/